

კომლი

საქმიანობის შესახებ

„კომლი” არის სათემო სივრცე (მოიცავს საცხოვრებელსა და საერთო სამუშაო სივრცეს), რომელიც ეფუძნება თანა-შექმნის, თანა-ცხოვრებისა და თანა-მშრომლობის პრინციპებს. კომლი უკვე ერთი წელია რაც არსებობს, როგორც ინიციატივა და აქტიურად მუშაობს რამდენიმე მიმართულებით:

1. ადგილობრივი ახალგაზრდების გაძლიერება
2. სათემო ინიციატივების მხარდაჭერა
3. სამეწარმეო კომპეტენციებისა და ადგილობრივი მეწარმეების განვითარების მხარდაჭერა
4. სათემო ინფრასტრუქტურის შეთავაზება.

კომლი მხარს დაუჭერს ადგილობრივი თემის წარმომადგენლებს, საკუთარი საჭიროებების შესაბამისად, კასპის თემში შექმნან ახალი შესაძლებლობები და ქალაქი თავად გარდაქმნან ისეთ ადგილად, საიდან წასვლის სურვილიც არ გაუჩნდებათ.

მომსახურება

„კომლი” მულტიფუნქციური სივრცეა, რომელიც მომხმარებელს სხვადასხვა მომსახურებას სთავაზობს. ჩამონათვალშია:

- მცირე ჰოსტელი (სივრცეში არსებულ სამ დამოუკიდებელ შენობაში შესაძლებელია 12 სტუმრის მიღება)
- ღია კაფე ყავა-ჩაის, უალკოჰოლო სასმლისა და წასახემსებლების შეთავაზებით
- ინფრასტრუქტურულად გამართული და კეთილმოწყობილი მცირე შეხვედრების ოთახი (15 კაციანი ოთახი აღჭურვილია პროექტორით, ეკრანით, დაფითა და მარკერებით)
- სამუშაო შეხვედრების ფასილიტაცია (სტრატეგიისა და ორგანიზაციული განვითარების გეგმის შემუშავება, პროექტის დაგეგმვა და საპროექტო განაცხადის მომზადება, გუნდის ფორმირება) open space მეთოდოლოგიის გამოყენებით
- მოკლევადიანი სასწავლო პროგრამები (ტრენინგი) სამოქალაქო ორგანიზაციებისა და მცირე ბიზნესებისთვის (იდეის განვითარება და ბიზნეს მოდელის შემუშავება, პროტოტიპის შექმნა, ციფრული მარკეტინგი და ელექტრონული კომერცია, ტექნოლოგიური პროექტების მართვა და ა.შ.)
- მენტორობისა და ქოუჩის მომსახურება მეწარმეებისთვის
- ქეითერინგით მომსახურება კასპის მუნიციპალიტეტში გამართული ღონისძიებებისთვის

+995 593 197 219

https://www.facebook.com/komligeo

connect@komli.ge

კასპი, კელაპტრიშვილის ქუჩა

სოციალური შედეგები

- „კომლმა” ადგილობრივებს შესთავაზა თემის საჭიროებებზე მორგებული სხვადასხვა მომსახურება, კონსულტაცია და ტრენინგები (სათემო მუშაობა, სათემო მენტორინგი, კოლექტიური ზრუნვა და ა.შ.)
- კომლის გახსნით ადგილობრივებისთვის არაფორმალურ სივრცეებსა და საგანმანათლებლო სერვისებზე ხელმისაწვდომობა გაიზარდა
- კომლის მიერ გამოცხადებული სტაჟირების პროგრამების ფარგლებში ხელი შეეწყო ადგილობრივი ახალგაზრდების კვალიფიკაციის ამაღლებას
- კომლში დასაქმდა 8 ახალგაზრდა
- კომლმა შექმნა სოციალიზაციის სივრცე, რამაც მომავალში ხელი უნდა შეუწყოს თემის განვითარებასა და მათ მიერ საკუთარი რესურსების გაცნობიერებას.